



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოკვეთა

მოკვეთა, სასჯელის ფორმა, რომელიც ითვალისწინებდა საცხოვრებელი ადგილიდან, ორგანიზაციიდან თემიდან გაძევებას, განდევნას. ძვ. ქართ. სამართალში მ. გამოიყენებოდა საზ-ბის, კორპორაციის წევრის მიმართ, როგორც სასჯელის უმაღლესი, უკიდურესი სახე. ამ სასჯელს ასევე ეწოდებოდა განდევნად, განგდებად, განძევებად, განჯდად, გარე-განთხევად, ან თუ მრავალ პირს ეხებოდა – განსხმად.

გიორგი მთაწმინდელის ცნობით, მ. დაწესებული იყო ათონის ქართველთა მონასტერში. ვაჰანის მონასტრის წესდების მიხედვით, მონასტრიდან მ-ის მიზანი პირთა მავნე გავლენის მოსპობა იყო: „რათა არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმპალე“.

როდესაც ბრალულის ქმედება უკიდურესად მძიმე იყო და თემი გაძევებულის უკან დაბრუნებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა, ასეთ წევრს განდევნისთანავე სასჯელის ეს ფორმა განესაზღვრებოდა. საბოლოო და სამუდამო გაძევებას სრულიადი ან შეუნდობლად განჯდად“ ეწოდებოდა და ასეთ განდევნას კრულვა-შეჩვენებაც სდევდა თან.

ლიტ.: ხოშტარია – ბროსე ე., ფეოდალური ხანის საქართველოს მთის და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ; 1984; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2., ნაკვ. 2., თბ., 1984; (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ი. უჭმაჭურიძე
